პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 120 (6175)

21 ივნისი, ოთხშაბათი, 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურიზმი — აქტიური დასვენების წყარო!

მთასა და ბარში



## ზაფხული ტურისტებს უხმობს

დღეს ათასობით საბჭოთა ადამიანი, მხრებზე ზურგჩანთაგადაკიდებული გაემართება მშობლიურ მხარეში სამოგზაუროდ. ტურისტებითა და ექსკურსანტებით სავსე თვითმფრინავები, მატარებლები, თბომავლები და ავტობუსები ზაფხულის უცილობელი ნიშანია. აქტიური დასვენების ასეთი ფორმა სულ უფრო პოპულარული ხდება. მოგზაურობა სამშობლოს ისტორიის უკეთ გაცნობის, საბჭოთა ხალხის უდიდესი მიღწევების თვალნათლივ ნახვის საშუალებას იძლევა. იგი ბუნებისადმი დიდ სიყვარულს აღვივებს.

ტურისტულ-საექსკურსიო ორგანიზაციათა უმრავლესობა ზაფხულისთვის კარგად მოემზადა. შეაკეთეს შენობები, წესრიგში მოიყვანეს ინვენტარი, გაუმჯობესდა სტუმართა საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობები. შემუშავებულია დასვენების დღის საინტერესო მარშრუტები. მაგრამ ამით არ იფარგლება შვებულებათა სეზონის საზრუნავი. სწორედ მოიქცნენ უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ხაბაროვსკის, ვლადიმირის ტურიზმისა და საექსკურსიო საბჭოები, რომლებმაც თავიანთ გეგმებში განსაკუთრებული ადგილი დაუთმეს თანამედროვე ფორმებით მუშაობას, მის იდეურ-პოლიტიკურ მიმართულებას მოგზაურობათა თემატიკა მჭიდროდაა დაკავშირებული სკკპ XXV ყრილობის, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციისა და მოკავშირე რესპუბლიკების ძირითადი კანონების. რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების პროპაგანდასთან.

კომუნისტური პარტია ტურიზმის განვითარებაში ხედავს საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების ერთ-ერთ პირობას. საგულისხმოა, რომ წლევანდელი სეზონისთვის ქვეყანაში ტურიზმის ბაზა 10 ათასზე მეტი ადგილით გაიზრდება. მოგზაურობის მოყვარულებს უმასპინძლებენ ახალი სასტუმროები და კემპინგები ყირიმში, კავკასიაში, ნოვგოროდისა და კემეროვოს ოლქებში, ოდესაში, ფერგანასა და სხვა ქალაქებში. განზრახულია კიდევ 28 დიდი ტურისტული ობიექტის მწყობრში ჩადგომა. ოღონდაც ზოგიერთი ასეთი მშენებლობის საქმე საგანგაშოა. მაგალითად 5 წელზე მეტია, რაც შენდება სასტუმროები ბაქოსა და ყარაგანდაში, ტურბაზები არმავირსა და ცეისის ხეობაში. წლიდან წლამდე ვერ ითვისებენ ამ მიზნისთვის გამოყოფილ კაპიტალდაბანდებებს მშენებლობის სამინისტროები. პარტიულმა კომიტეტებმა, სახალხო დეპუტატების საბჭოებმა უნდა გააძლიერონ ტურიზმის ინდუსტრიის ობიექტების მშენებლობის კონტროლი. მკაცრად მოსთხოვონ მათ, ვისი მიზეზითაც ფერხდება ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემა.

წლეულს ტურისტულ ორგანიზაციებს, როგორც არასდროს, დიდი სამუშაოები აქვთ შესასრულებელი, მათ სოციალისტური ვალდებულება აიღეს მოემსახურონ 28 მილიონ ტურისტსა და 152 მილიონ ექსკურსანტს. მოსახლეობას გაუწიონ დაახლოებით 1,2 მილიარდი მანეთის მომსახურეობა. ვალდებულების უმეტესი ნაწილის შესრულება ზაფხულში მოუწევთ. ასე რომ, ამ დღეებში ტურიზმის ინდუსტრიის საწარმოთა საქმიანობაში უნდა იგრძნობოდეს განსაკუთრებული, მაღალი ორგანიზებულობა და სიზუსტე.

როგორც „პრავდის" მკითხველები გვწერენ, ტურისტები ხანდახან მარშრუტებზე მოულოდნელ „წინააღმდეგობებს" აწყდებიან. ხან მოგზაურობის განრიგი ირღვევა, ხან იცვლება დაგეგმილი ექსკურსია, ან სტუმრებს ხვდებიან პროფესიონალურად ცუდად მომზადებული მუშაკები. საგზურების არასწორი რეალიზაციის გამო ზოგიერთ ბაზაში ზაფხულშიც კი ცარიელია ადგილები, მატარებლების და თბომავლების ნაწილი რეისებზე შეუვსებელნი მიდიან. ასეთი ცნობები მოდის, კერძოდ თურქმენეთიდან, მორდვეთის ასსრ-დან, ივანოვოს ოლქიდან. აქ ტურიზმისა და ექსკურსიების ადგილობრივი საბჭოები ჯერ კიდევ სუსტად ზრუნავენ მომსახურეობის კულტურისთვის, თუმცა თავის დროზე არცთუ ცუდი გაფრთხილებები მიიღეს.

საკავშირო პროფსაბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭო მოწოდებულია მიაღწიოს მუშაობის მაღალ ეფექტიანობას ყველა თავის ქვედანაყოფში, აქტიურად დანერგოს მომსახურების ახალი ფორმები, რომლებიც მოსახლეობაში პოპულარობით სარგებლობენ. ბევრს მოსწონს სამოგზაუროდ მთელი ოჯახით წასვლა. მაგრამ ამ სურვილს ყველგან ვერ შეისრულებ ადვილად. აუცილებელია ოჯახებისთვის ბაზებისა და სასტუმროების ქსელის სწრაფი გაფართოება.

მოგზაურობის მოყვარულები სამართლიან პრეტენზიას უყენებენ სატრანსპორტო ორგანიზაციებსაც. მატარებლები, სამდინარო გემები, ავტობუსები, ზოგჯერ ცუდად ემზადებიან ტურისტულ-საექსკურსიო რეისებისთვის. ტრანსპორტი უფრო ეფექტურ გამოყენებას მოითხოვს. გაფართოებას ელის მოგზაურობათა „გეოგრაფია" — ახლა მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მარშრუტებზე. გზათა სამინისტრო მოწოდებულია დააჩქაროს ტურისტული სპეციალური მატარებლების სადგომი ადგილების შექმნა.

რა თქმა უნდა, ძალიან ბევრია დამოკიდებული იმაზეც, თუ რამდენად აქტიურად მონაწილეობენ კლუბისა და სექციის მუშაობაში ტურისტულ მოგზაურობათა მოყვარულები, აუცილებელია, რომ ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა საქმიანად დაუჭირონ მხარი მათ თაოსნობას, ხელი შეუწყონ თვითმოქმედი ტურიზმის განვითარებას. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, სადგომი ადგილების წინასწარი შერჩევა და მოწყობა, მშობლიურ მხარეში მოგზაურობის მსურველებთან ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება.

ნამდვილი ტურისტი ბუნების მეგობარია. იგი არასოდეს გააჭუჭყიანებს მდინარეს, არ მოჭრის აყვავებულ ხეს შემად, და თუ კოცონს დაანთებს, მხოლოდ გამოყოფილ ადგილას, მთელი სიფრთხილის დაცვით. სწორად იქცევიან გამოცდილი ტურისტები, როცა თავიანთი ქცევით მაგალითს აძლევენ ახალგაზრდებს, რათა არავინ ჩავარდეს სამიშ სიტუაციაში, ზიანი არავის და არაფერს მიაყენოს.

ჩვენს დროში ფართოდ განვითარდა ავტოტურიზმი. მისი უკეთ ორგანიზებისთვის ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. კერძოდ, საჭიროა ავტომოგზაურთა საყვარელ ადგილებში გაფართოვდეს სპეციალური სადგომების, კარვების ქალაქების, მოტელების, ტექნიკური მომსახურების პუნქტების მშენებლობა. ამაზე უნდა იზრუნონ საყოფაცხოვრებო სამსახურისა და კომუნალური მეურნეობის ადგილობრივმა საწარმოებმა.

ზაფხული გიხმობთ ტურისტულ ბილიკებსა და გზებზე. კეთილი მგზავრობა აქტიური დასვენების ენთუზიასტებო! დაე ყოველი თქვენგანი მოგზაურობიდან დაბრუნდეს დასვენებული, ნათელი შთაბეჭდილებებით, ჩვენ თვალწარმტაც სამშობლოზე ახალი ცოდნით გამდიდრებული!

„პრავდის" მოწინავე.

### ჭადრაკი

## დიდი გზის დასაწყისი

**სსრ კავშირის** ვაჟთა 46-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირს წლეულს თბილისის ჭადრაკის სასახლე (1-27 დეკემბერი) უმასპინძლებს. ცხადია, საბჭოთა მოჭადრაკეთა ამ მნიშვნელოვან ფორუმში ბევრ დიდოსტატსა და ოსტატს სურს მონაწილეობა.

ტურნირში პერსონალურად მიწვეულნი არიან მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი, სსრ კავშირის 1977 წლის ჩემპიონები ბ. გულკო (მოსკოვი), ი. დორფმანი (ლვოვი), 45-ე ჩემპიონატის პრიზიორები ტ. პეტროსიანი (მოსკოვი), ლ. პოლუგაევსკი, ე. გელერი (ორივე — მოსკოვის ოლქი), ვ. ბაგიროვი (ბაქო), მ. ტალი (რიგა), გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი) და ო. რომანიშინი (ლვოვი).

დანარჩენი 7 მონაწილე უნდა შეირჩეს საკავშირო მასობრივ (დაუგავპილსი, 26 ივნისი — 16 ივლისი) და I ლიგის (აშხაბადი, 3-30 ოქტომბერი) ტურნირებში. მასობრივიდან უმაღლესი ლიგის ტურნირში დაიშვება I ადგილზე გასული მოჭადრაკე, მომდევნო 6 ადგილის მფლობელნი ბრძოლას I ლიგის ტურნირში განაგრძობენ. ამ ტურნირში პირველ ექვს ადგილზე გასული მოჭადრაკე საასპარეზოდ თბილისში ჩამოვა.

ამ სამსაფეხურიანმა ჩემპიონატმა გაამართლა იმედები. უმაღლესი ლიგის ტურნირში მუდამ უძლიერესთა შორის უძლიერესები თამაშობენ.

და აი, 26 ივნისს დაუგავპილსში სტარტს აიღებს საკავშირო მასობრივი ტურნირი, რომლის 64 მონაწილეს შორის იქნებიან ცნობილი დიდოსტატები და მოსკოვის, ლენინგრადის, მოძმე რესპუბლიკების პირველობებში გამარჯვებული ოსტატები და ოსტატობის კანდიდატები. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით (13 ტური) ჩატარდება.

ბრძოლაში ჩაებმებიან საქართველოს წარგზავნილებიც: დიდოსტატები — ბ. გურგენიძე, ე. გუფელდი, ოსტატები — რესპუბლიკის ჩემპიონი 21 წლის გ. ზაიჩიკი, 19 წლის ზ. სტურუა და ოსტატობის კანდიდატი 27 წლის დ. გეღევანიშვილი.

პირველი ქართველი დიდოსტატი საკავშირო ჩემპიონატის ფინალის რვაგზის მონაწილეა. რამდენიმეჯერ გუფელდიც იყო ფინალისტი. მათ ახალგაზრდა კოლეგებს ჯერ I ლიგის ტურნირშიც არ უთამაშიათ.

ვუსურვოთ წარმატება ჩვენს მოჭადრაკეებს.

## მსჯელობენ მოციგურავეები

**გაიმართა** საქართველოს სსრ ფიგურული სრიალის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო პლენუმი, რომელზეც მოსმენილ იქნა ფედერაციის მიერ 1976-1978 წ.წ. სეზონში გაწეული მუშაობის ანგარიში. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მოციგურავეებმა, რომლებსაც არ გააჩნიათ დიდი ტრადიციები, უკანასკნელ წლებში კარგ შედეგებს მიაღწიეს. ასე, მაგალითად, სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადაზე ჩვენი გუნდი მეშვიდე ადგილზე გამოვიდა. წარმატებას მიაღწიეს ცალკეულმა სპორტსმენებმაც: გია შანყულაშვილმა ჭაბუკთა შორის ვერცხლის ორი და ბრინჯაოს ერთი მედალი მოიპოვა, ბადრი ყურაშვილი მეშვიდე იყო, ხოლო ინგა ბუთიკაშვილმა ქალთა შორის საერთო მეხუთე ადგილი მოიპოვა და სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

ამასთან ფედერაციის მუშაობაში ბევრი ნაკლიც შეიმჩნეოდა, რომლის შესახებ პლენუმზე გულახდილად ითქვა. ორატორებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ სპორტის ამ საინტერესო სახეობის შემდგომი განვითარებისთვის ჩვენს რესპუბლიკაში აუცილებელია ახალი, სტანდარტული ზომების საციგურაო ბაზა.

პლენუმზე არჩეულ იქნა რესპუბლიკის ფიგურული სრიალის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა. თავმჯდომარედ არჩეულია მ. მურჯიკნელი, მოადგილედ — ი. ჯაფარიძე, პასუხისმგებელ მდივნად — ვ. რეტივიხი. გადაწყდა, რომ მსაჯთა კოლეგიას უხელმძღვანელებს გ. იაშვილი, მსაჯთა საბჭოს — ი. ჯაფარიძე.

## ტელეტაიპის ლენტიდან

**ნაგოია.** ევროპის ჩემპიონმა, სსრ კავშირის ფრენბურთელთა ნაკრებმა გამარჯვებით დაიწყო თავისი ტურნე იაპონიაში. მასპინძელთა ეროვნულ ნაკრებთან მატჩი მათ მოიგეს ანგარიშით 3:2. სტუმრები იაპონიაში კიდევ ოთხ შეხვედრას გამართავენ.

**პროსტეევი.** ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში გამართულ ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ველოსიპედისტთა მატჩში საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს გამოდევნებით გუნდური რბოლა, ხოლო ადგილიდან გიტში პირველობდნენ მასპინძლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ძევრულას მიდამოებში



**თერჯოლის** რაიონის სოფელ ძევრის მახლობლად, მდინარე ძევრულას მიდამოებში ორ დღეს გრძელდებოდა ზონალური შეჯიბრება ტურისტულ მრავალჭიდში, რომელიც კომკავშირის 60 წლისთავს მიეძღვნა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა ქუთაისის, თერჯოლისა და სოხუმის, აგრეთვე, ბათუმის ტურისტთა გუნდები.

ასპარეზობის პროგრამაში იყო: ზურგჩანთაში ტურისტული საჭურველის ჩაწყობა, მძლეოსნური კროსი, მდინარის თოკითა და ბაიდარით გადალახვა, ხელყუმბარის ტყორცნა და კარვის გაშლა.

შეჯიბრებაზე კარგად მომზადებული გუნდი გამოიყვანა ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათავო საწარმოს ტურისტთა გუნდმა (ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი თ. თორთლაძე, მწვრთნელი ს. კიშიბაძე), რომლებმაც დამსახურებულად მოიპოვეს I ადგილი, მეორე იყო ს. მ. კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანების კოლექტივი, ხოლო მესამე — ბათუმის ტურისტული კლუბის გუნდი.

გამარჯვებული გუნდები და სპორტსმენები თერჯოლის რაიონის თავკაცებმა დააჯილდოვეს ფასიანი საჩუქრებითა და დიპლომებით.

**ლ. ფაჩუაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

• • •

**სურათებზე:** ბაიდარითა და თოკით მდინარის გადალახვა; კარვის გაშლაში შეჯიბრების მომენტი; ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათავო საწარმოს გუნდი, რომელმაც ყველას აჯობა ტურისტულ შეკრება-შეჯიბრებაში.

ავტორის ფოტოები.

**ზაპოროჟიეში,** კლასიკურ ჭიდაობაში გამართულმა საკავშირო ჩემპიონატმა მწვრთნელებსა და სპეციალისტებს მრავალი საფიქრალი გაუჩინა — აქ მეტად უფერულად იასპარეზეს ჩვენი ქვეყნის გამოჩენილმა, ტიტულოვანმა ფალავნებმა და ა. კოლჩინსკის გარდა ვერც ერთმა ვერ შეძლო თავისი უპირატესობის დამტკიცება...

შედეგები, ერთის მხრივ, მართლაც დამაფიქრებელია. იყო დრო, როდესაც საბჭოთა „კლასიკოსების" რიგები განუწყვეტლივ ივსებოდა ახალახალი „ვარსკვლავებით" და საერთაშორისო არენაზე მათი წარმატებებიც მეტად თვალსაჩინო გახლდათ, მაგრამ ევროპის განვლილ ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრების მარცხის მიზეზთა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჩვენი ქვეყნის კლასიკური სტილის მოჭიდავეთა გუნდი აშკარად განიცდის ახალი, ელვარე ტალანტების ნაკლებობას.

იგივე შეიძლება ითქვას ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებზეც, რომელმაც უჩვეულოდ სუსტად იასპარეზა და ზაპოროჟიედან ოქროს ვერც ერთი მედალი ვერ ჩამოიტანა.

შარშანდელ ჩემპიონატთან შედარებით, რომელიც უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში გაიმართა, წლევანდელი ასპარეზობის შედეგებით ქართველი „კლასიკოსები" ბევრით ვერაფრით დაიკვეხნიან. შარშან, საკავშირო პირველობაზე ხუთმა ქართველმა ათლეტმა ისახელა თავი. მათგან სამმა — რ. აბრამიშვილმა (62 კგ), ი. ბერიშვილმა (82 კგ) და ე. გოგლიჩიძემ (90 კგ) საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიკავეს, ორმა კი მ. სალაძემ (100 კგ) და შ. მორჩილაძემ (მძიმე) ვერცხლის მედლებით დაიმშვენეს მკერდი. წლევანდელი 2 მეორე და 2 მესამე ადგილი კი არამც და არამც არ გამოხატავს გუნდის მზადების აღმავალ გზას.

არა და რა ახლოს იყო სანუკვარი მიზანი!

ფინალური ასპარეზობისას, როდესაც ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ 20 წლის თბილისელი ფალავანი მ. ლეჟავა (82 კგ) და გამოცდილი კოხტლაიარველი ათლეტი, 32 წლის ა. ტალპასი, თითქოს ეჭვი არავის ეპარებოდა ქართველი მოჭიდავის გამარჯვებაში, რადგან მ. ლეჟავა მართალია პირველად გამოდიოდა ასეთ საპასუხისმგებლო შეხვედრაში, მაგრამ იგი ძალზე ნიჭიერი, პერსპექტიული მოჭიდავეა, ამასთან ა. ტალპასს ადრე თითქმის არაფრით გამოუჩენია თავი და ამ „ხანდაზმული" ფალავნისაგან რა დასამალია და ახლაც ბევრს არაფერს ელოდნენ.

სამწუხაროდ, მ. ლეჟავას მაინც არ ეყო გამოცდილება, თანაც ფსიქოლოგიურად ნაკლებმომზადებული აღმოჩნდა და მეორე ადგილს დასჯერდა, თუმცა „ვერცხლიც" ახალგაზრდა ათლეტის მნიშვნელოვან წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

ქართველ მოჭიდავეთათვის გაცილებით დრამატული გამოდგა შეჯიბრება 100 კგ წონით კატეგორიაში. აქ ფინალურ ასპარეზობაში ერთმანეთს შეხვდა ჩვენი რესპუბლიკის ორი წარმომადგენელი — მ. სალაძე („დინამო") და ნ. ბაბიაშვილი (ცსკა). გამარჯვების შემთხვევაში ეს უკანასკნელი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ხდებოდა, ხოლო თუკი შეხვედრას სალაძე მოიგებდა, მას მოსკოველ ე. არტიუხინთან უნდა ეასპარეზა ჩემპიონის ტიტულისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ორივე ქართველი ფალავანი მსაჯებმა შეჯიბრებიდან მოხსნეს და ამ წონით კატეგორიაში პირველ ადგილზე არტიუხინმა გადაინაცვლა.

აღსანიშნავია, რომ ევროპის წლევანდელი ჩემპიონი ვ. ბლაგიძე შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა — იგი ჩვენი ქვეყნის ნაკრების უცილობელი კანდიდატია და მწვრთნელებმა მისი დასვენება გადაწყვიტეს.

**გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს:**

**48 კგ.** 1. ვ. ანიკინი (ტაშკენტი, შეიარაღებული ძალები); 2. ჟ. უშკემპიროვი (ალმა-ათა, „ქაირათი"); 3. ა. ბოზინი (ყაზანი, „ეროვაი").

**52 კგ.** 1. რ. ნერსესიანი (ერევანი, „სევანი"); 2. კ. ფატკულინი (ტაშკენტი, „ბურევესტნიკი"); 3.

# მიზანი ახლოს იყო...

რ. არსლანოვი (მოსკოვის ოლქი, შეიარაღებული ძალები).

**57 კგ.** 1. შ. სერიკოვი (ალმა-ათა, „დინამო"); 2. ვ. კარატაევი (ტერნოპოლი, „სპარტაკი"); 3. ვ. კონსტანტინოვი (ულიანოვსკი, „დინამო").

**62 კგ.** 1. ბ. კრამარენკო (როსტოვი, შეიარაღებული ძალები); 2. ნ. დავიდიანი (კიევი, „დინამო"); 3. ი. კორჩაგინი (იაროსლავლი, შეიარაღებული ძალები).

**68 კგ.** 1. ვ. გალკინი (კიროვი, „დინამო"); 2. ა. კარლოვი (კიევი, „კოლოსი"); 3. ა. ალიევი (მოსკოვი, შეიარაღებული ძალები).

**74 კგ.** 1. ვ. მკრტიჩევი (მოსკოვი, „ლოკომოტივი"); 2. ა. ბიკოვი (ალმა-ათა, „დინამო"); 3. ა. ნიფტულაევი (მოსკოვი, შეიარაღებული ძალები).

**82 კგ.** 1. ა. ტალპასი (კოხტლაიარვე, „კალევი"); 2. მ. ლეჟავა; 3. ი. ბერიშვილი (ორივე — თბილისი, შეიარაღებული ძალები).

**90 კგ.** 1. ვ. ავდიშევი (ბაქო, „ნეფთჩი"); 2. ი. გრიგორიევი (ომსკი, „ბურევესტნიკი"); 3. ა. მინასიანი (ერევანი, „დინამო").

**100 კგ.** 1. ე. არტიუხინი (მოსკოვი, შეიარაღებული ძალები); 2. ვ. მიზგაიტისი (კაუნასი, „დინამო"); 3. დ. ზადვირნიაკი (კიევი, „კოლოსი").

**მძიმე.** 1. ა. კოლჩინსკი (კიევი, შეიარაღებული ძალები); 2. ა. მაისურაძე (თბილისი, შეიარაღებული ძალები); 3. შ. მორჩილაძე (თბილისი, „ბურევესტნიკი").

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე არმიელები არიან, მეორეზე — დინამოელები, მესამეზე — სოფლის სპორტსაზოგადოებების ნაკრები.

**ნ. შატაიძე.**

## [illegible]

### ამბროლაური

აქ მიმდინარეობდა მოსწავლეთა ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ჯ. გოშთელიანი (მესტია), რ. ჯებაშვილი, რ. გეწაძე (ორივე — ამბროლაური), ა. მამრიკაშვილი (ქუთაისი), მ. ფალიანი (მესტია), ტ. მამრიკაშვილი (ქუთაისი), ი. შალამბერიძე (აჭარის ასსრ), თ. გოგრიჭიანი (ონი), კ. სელვიდი (აჭარის ასსრ), ი. ჯოჯუა (ქუთაისი), ი. ტყეშელაშვილი (ზესტაფონი), ა. ლიპარტელიანი (მესტია).

პირველ ადგილზე გამოვიდნენ აჭარის, მეორეზე ამბროლაურის, ხოლო მესამეზე — ქუთაისის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდები.

**გ. ჯაფარიძე.**

## წერილის კვალდაკვალ

### „იმ დიდი ნახტომის შემდეგ"...

ამ სათაურით „ლელოს" 20 მაისის ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი მშდ კომპლექსის მრავალჭიდში თბილისის საქალაქო პირველობის შესახებ, რომელშიც მხილებული იყო ასპარეზობის ორგანიზაციის ხარვეზები. აღნიშნული იყო, რომ მსროლელთა შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარება ვერ უზრუნველყო ამ სახეობის მსაჯთა კოლეგიამ, რომელსაც გ. ჯიჯიაშვილი ხელმძღვანელობდა.

როგორც დოსააფის თბილისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე **გ. შვანგირაძე** გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტი დადასტურდა. დოსაფის 26 კომისრის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ჯიჯიაშვილმა მონაწილენი ვერ უზრუნველყო სათანადო იარაღით. საქალაქო კომიტეტმა ჯიჯიაშვილს უპასუხისმგებლობისთვის ბრძანებით მიუთითა და დასახა ღონისძიება 26 კომისრის რაიონული ტირის საჭირო იარაღით უზრუნველყოფის შესახებ.

# მთავარი სენსაცია

**ტაშკენტში** გამართული სამბისტთა საკავშირო პირველობა მრავალი მოულოდნელობით აღინიშნა. ჩვენი ქვეყნის შარშანდელ ჩემპიონთაგან მხოლოდ ორმა მოახერხა ამ ტიტულის შენარჩუნება და ამის შესაბამისად ნაკრების შემადგენლობაც 50 პროცენტით გადახალისდა. ახლა ნაკრების წევრთა საშუალო ასაკი 25,5 წელს უდრის და შარშანდელზე თითქმის ორი წლით ნაკლებია. შეჯიბრების მთავარი სენსაცია კი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, მსოფლიო ჩემპიონისა და თასის მფლობელის, სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონის, თბილისელი ი. მაღალაშვილის (52 კგ) ულიმღამო გამოსვლა გახლდათ... იოსებმა ჩემპიონატის პირველსავე დღეს ქულებით წააგო ტაშკენტელ კ. იბატულინთან და საბოლოოდ საპრიზო ადგილზეც კი ვერ მოხვდა.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან „ვერცხლი" მხოლოდ ს. როსტიაშვილმა მოიპოვა, ა. ოქროპირიძე, დ. ბოდაველი და რ. ხარშილაძე კი ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

**ტექნიკური შედეგები:**

**48 კგ.** 1. ნ. ხალიულინი („დინამო", ვლადივოსტოკი); 2. ს. როსტიაშვილი (შეიარაღებული ძალები, თბილისი); 3. ა. მუსაბეკოვი (შეიარაღებული ძალები) და ა. პეტროვი („ტრუდი", ნოვოჩებოქსარი).

**52 კგ.** 1. ვ. ბელოვი („ტრუდი", ნოვოჩებოქსარი), 2 ვ. დიმიტრიევი („ტრუდი" ტულა); 3. ი. კრუგლოვი („დინამო", კუიბიშევი) და ი. სოკოლოვი („დინამო", ლვოვი).

**57 კგ.** 1. ხ. გარეევი („ტრუდი", ანგარსკი); 2. ა. ზვერევი („დინამო", მოსკოვი); 3 ვ. ტიუტერევი (შეიარაღებული ძალები, ფრუნზე) და ნ. ალიპა (შეიარაღებული ძალები, კიევი).

**62 კგ** 1. ბ. კასაპი „(დინამო". ოდესა); 2. კ. იუსუპოვი („დინამო", ტაშკენტი); 3. გ. ოჰანესიანი („დინამო", ერევანი) და ვ. ხალანსკი („ბურევესტნიკი", ვლადივოსტოკი).

**68 კგ.** 1. ა. ხანაი („უროჟაი", მაიკოპი); 2. ნ. მადიაროვი („ტრუდი", ყაზანი); 3. ზ. ნიშნიანიძე (შეიარაღებული ძალები, ალმა-ათა) და მ. ლევიცკი („დინამო", ლვოვი).

**74 კგ.** 1. ს. არაქელიანი („დინამო", ერევანი); 2. ნ. ბარანოვი („ტრუდი", კსტოვო); 3. ნ. კოზლენკოვი. (შეიარაღებული ძალები, მოსკოვის ოლქი) და ა. ოქროპირიძე (შეიარაღებული ძალები, თბილისი).

**82 კგ** 1. ვ. პაშკინი („ბურევესტნიკი", მოსკოვი); 2. ვ. ზინიაკოვი („დინამო", ომსკი), 3. ვ ანიკინი

## ძიდაობა

### სსრ კავშირის ჩემპიონატები

(„დინამო", ტაშკენტი) და დ. ბოდაველი (შეიარაღებული ძალები, თბილისი).

**90 კგ.** 1. ა. პუშნიცა („დინამო", ომსკი); 2. გ. მალიონკინი („ტრუდი". ვლადიმირი); 3. ვ. პუქნიცა („დინამო", ალმა-ათა) და რ. ხარშილაძე (შეიარაღებული ძალები, თბილისი).

**100 კილოგრამამდე.** 1. ა. დოლჟენკო („დინამო", ტაშკენტი); 2. ნ. მედვედევი („ტრუდი", კსტოვო); 3. ე. სოლოდუხინი (შეიარაღებული ძალები, მოსკოვი) და ა. ნოვიკი (შეიარაღებული ძალები, მინსკი).

**100 კგ-ს ზევით.** 1. ვ. კუზნეცოვი (შეიარაღებული ძალები, მოსკოვი); 2. ს. გოგნაძე („დინამო". ტაშკენტი); 3. ვ სობოდირიოვი (საბჭოთა არმია, ტაშკენტი) და მ. შირინიანი („აშხატანაკი", ერევანი).

# რინგი არის, დასადგმელი ადგილი — არა

**მესტიის** რაიონში აღორძინების გზას დაადგა კრივი. წელიწადნახევარია, რაც რაიონში სამუშაოდ მოვიდა სპორტის ამ სახეობის ნამდვილი ქომაგი, სპორტის ოსტატი ალიოშა ჯაფარიძე. მისმა აღსაზრდელებმა, მესტიის სპორტსკოლის მოსწავლეებმა სულ მალე გამოავლინეს სპორტული ტალანტი, ნიჭი და მიდრეკილება კრივისადმი.

კრივის განვითარებას რაიონის მასშტაბით მიექცა ყურადღება. მულახის სპორტულ კომპლექსში, რომელიც ახალგაზრდობის ძალებით, საზოგადოებრივ საწყისებზე აშენდა, ჩამოყალიბდა კრივის სექცია. მას უკვე სამი თვეა მოსკოველი სპორტის ოსტატი ანდრეი პიპოჩკინი ხელმძღვანელობს.

მესტიის კულტურის სახლში უკვე ჩატარდა პირველი ოფიციალური შეხვედრა მესტიისა და მულახის სპორტსკოლების აღსაზრდელებს შორის. იგი მოაწყვეს მესტიის სპორტსკოლამ (დირექტორი გ. ჯაფარიძე), „კოლმეურნის" რაიონულმა საბჭომ (თავმჯდომარე ბ. მჭედლიანი), კომკავშირის მესტიის რაიონულმა კომიტეტმა.

მოსწავლე-სპორტსმენებმა შეჯიბრებაზე მომზადების მაღალი დონე გამოავლინეს და მაყურებელს აღუძრეს იმედი იმისა, რომ ისინი რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზეც წარმატებით გამოვლენ.

„კოლმეურნეს" ცენტრალურმა საბჭომ რაიონს უსასყიდლოდ გამოუყო რინგი, მაგრამ, ჯერჯერობით მისი დასადგმელი ადგილი ვერსად გამოიძებნა. მესტიის სპორტული დარბაზის მშენებლობა კი უსაშველოდ ჭიანურდება.

**ჯ. ფილფანი.**
(ჩვენი კორ.).

მესტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთი

# როდის ფასობს ერთი გოლი ორად

რედაქციაში ხშირად მოდის ფეხბურთის მოყვარულთა წერილე[ბი] შეკითხვით: „სწორია თუ არა, [რო]მ ევროპის საკლუბო გათამაშე[ბებ]ში (ჩემპიონთა თასი, თასების [მფ]ლობელთა თასი, უეფა-ს თასი) [და] სსრ კავშირის თასზე 2-მატჩია[ნი] სისტემით, მეტოქეთა მინდორ[ზე] გატანილი ყოველი ბურთი [ო]რად ითვლება?".

[რა] თქმა უნდა, ეს ასე არაა. [გა]თამაშების დებულებაში გარკვე[ვით] [წერ]თაა ნათქვამი: „თუ ორი გუნ[დი] [მო]ქულათა თანაბარ რაოდენობას [და]აგროვებს 2 მატჩში და გატანი[ლი] და მიღებული ბურთების სხვა[ობ]აც თანაბარი ექნათ, ყოველი გო[ლი], გატანილი მეტოქის მინდორ[ზე], ითვლება ორად. გუნდი, რო[მე]ლიც ამის მეოხებით მიიღებს [უპ]ირატესობას, აგრძელებს მონა[წი]ლეობას შეჯიბრებაში".

ნათქვამის გასამარტავად მოვი[ყვ]ანთ კონკრეტულ მდგომარეობას [სს]რ კავშირის თასის მეოთხედფი[ნა]ლის მეტოქეებს — თბილისის [„დ]ინამოსა" და მოსკოვის „ლოკო[მო]ტივს" შორის. პირველი მატჩი [მო]სკოვში, როგორც ცნობილია, [მო]იგო „ლოკომოტივმა" — 1:0. [თუ] „დინამომ" თბილისში ასეთი[ვე] ანგარიშით აიღო რევანში, სა[ერ]თო ანგარიში იქნება 1:1 და და[ი]ნიშნება დამატებითი დრო: 2 ტა[ი]მი 15-15 წუთის ხანგრძლიობით. [თუ] გამარჯვებული არც მაშინ [გა]მოვლინდა, დაინიშნება პენალტე[ბი]ს სერია.

მაგრამ თუ „დინამომ" მოიგო [ან]გარიშით 2:1, ორივე მეტოქეს [ექ]ნება 2-2 ქულა და ბურთების [სხ]ვაობაც 2-2. აი, ამ შემთხვევაში [„ლ]ოკომოტივს" ორად ჩაეთვლება [თბ]ილისში გატანილი ერთი გოლი [და] გამარჯვებაც მას დარჩება სა[ერ]თო შეფარდებით 3:2.

[ე]რთი სიტყვით, ლევანდელ მა[ტჩ]ში თბილისელებმა თუ გაიმარჯ[ვე]ს ანგარიშით 1:0, დაინიშნება [დ]ამატებითი პენალტები, ყველა [სხვ]ა შემთხვევაში ჩვენს გუნდს მო[უ]ვა ესაჭიროება სულ ცოტა 2 [ბუ]რთის სხვაობით.

●

### სსრ კავშირის პირველობა
### მეორე ლიგა
### IV ზონა
### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შირაკი" | 19 | 10 | 7 | 2 | 39—17 | 27 |
| „კოტაიკი" | 19 | 11 | 3 | 5 | 24—19 | 25 |
| „ზვეზდა" | 19 | 10 | 4 | 5 | 25—11 | 24 |
| „გურია" | 19 | 9 | 5 | 5 | 28—21 | 23 |
| „ყარაბახი" | 19 | 9 | 5 | 5 | 24—13 | 23 |
| „ტურბინა" | 19 | 9 | 3 | 7 | 22—26 | 21 |
| „დინამო" ბ. | 19 | 8 | 5 | 6 | 20—16 | 21 |
| „დინამო" ზ. | 19 | 7 | 7 | 5 | 23—15 | 21 |
| ფიზ. ინსტ. | 19 | 7 | 7 | 5 | 19—16 | 21 |
| „ლოკომოტ." | 19 | 8 | 4 | 7 | 29—30 | 20 |
| „დინამო" ს. | 19 | 7 | 6 | 6 | 26—22 | 20 |
| „ტორპედო" | 19 | 7 | 6 | 6 | 19—13 | 20 |
| „ზენიტი" | 19 | 6 | 7 | 6 | 19—17 | 19 |
| „ავტომობ." | 19 | 9 | 0 | 10 | 20—28 | 18 |
| „პროგრესი" | 19 | 8 | 1 | 10 | 19—27 | 17 |
| „დრუჟბა" | 19 | 7 | 3 | 9 | 21—19 | 17 |
| „...სტელო" | 19 | 7 | 3 | 9 | 18—24 | 17 |
| „გაზოვიკი" | 19 | 6 | 5 | 8 | 19—20 | 17 |
| „ხაზარი" | 19 | 6 | 4 | 9 | 17—26 | 16 |
| „რუბინი" | 19 | 5 | 6 | 8 | 19—23 | 16 |
| „დილა" | 19 | 3 | 10 | 6 | 18—19 | 16 |
| „ურალეცი" | 19 | 6 | 3 | 10 | 22—30 | 15 |
| „დინამო" კრ. | 19 | 6 | 3 | 10 | 15—20 | 15 |
| „არაზი" | 19 | 2 | 3 | 14 | 13—46 | 7 |

**ამას წინათ** თელავში ჩატარდა რესპუბლიკური ზონალური გათამაშება ლელობურთში, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო 12 გუნდს. შეჯიბრების ადგილზე გამოცხადდა მხოლოდ 8 კოლექტივი, ხოლო აფხაზეთის, ფოთის, სამტრედიისა და გეგეჭკორის გუნდებმა თავი აარიდეს გათამაშებას. გეგეჭკორელთა მიმართ შეიძლება ის ითქვას, რომ მათ ასეთი წესი აქვთ: თუ შეჯიბრება იმართება გეგეჭკორში, ისინი თამაშობენ, დანარჩენ შემთხვევებში კი თავს არიდებენ მგზავრობას.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, თელავის ზონალურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 8 გუნდი, რომელთაგან პირველ 6 ადგილებზე გასულნი მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკურ ფინალურ შეჯიბრებაში (იგი სექტემბერში მოეწყობა ფოთში ან ზუგდიდში). მაგრამ თელავის გარდა ზონალური გათამაშება არ ჩატარებულა არსად და აქ გაირკვა ფინალის 6 მონაწილე. საკითხავია, რაღა საჭირო იქნება იმავე ექვსეულში განმეორებით ჩავატაროთ შეჯიბრება უკვე ცნობილი I-VI ადგილების გამოსავლენად? ჩვენი აზრით, ჯობდა შექმნილიყო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს 2 ზონა, სადაც I-III ადგილებზე გასულნი შექმნიდნენ ფინალურ ჯგუფს 6 გუნდის შემადგენლობით.

და თუ მაინცდამაინც ერთი ზონა შეიქმნა, ჯობდა თელავის ნაცვლად სხვა ადგილი შეერჩიათ ტურნირისთვის. ჯერ ერთი, თელავი შორსაა დასავლეთ საქართველოდან და იქ ჩასვლა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მერე — თელავში მარშან ჩატარდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" პირველობა და ისევე, როგორც ახლა, მაშინაც არავინ დასწრებია თამაშებს. დაბოლოს, თელავის ფიზკულტურის კომიტეტი ლელობურთელთა შეჯი-

ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲡ!

●

# ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲜᲔᲜ... ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲔᲑᲘ

ბრებას ატარებს ძველ სტადიონზე, რომელიც დიდ საშიშროებას წარმოადგენს ამ სახეობის მოთამაშეთათვის. სტადიონს არ გააჩნია გასახდელები მონაწილეებისა და მსაჯებისთვის, ზედმეტია ლაპარაკი შხაპზე და ლელობურთელებს ტალახიან ტანზე უხდებათ ტანსაცმლის ჩაცმა. სტადიონი არაა რადიოფიცირებული.

სწორედ საქმისადმი ასეთი მიდგომის გამოა, რომ სპორტის ეროვნული სახეობა — ლელობურთი არაა პოპულარული და თანდათან ეძლევა დავიწყებას ჩვენში. აბა რა შეჯიბრებაა, როცა ერთ რაიონში იკრიბებიან ზონის მონაწილენი და ყოველ დღე თამაშობენ ერთმანეთთან. უმჯობესია რესპუბლიკური პირველობა ჩატარდეს საკუთარ და მეტოქის მინდვრებზე გასვლით. მაშინ მეტი რაიონი გამოიჩენდა ინტერესს ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად.

ახლა ისევ თელავის ტურნირის შესახებ. 8 გუნდი დაყოფილი იყო 2 ჯგუფად და ჯგუფებში ერთნაირ ადგილებზე გასულნი ერთმანეთს ხვდებოდნენ საბოლოო ადგილების გამოსავლინებლად.

I ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა ჩოხატაურის გუნდმა (მწვრთნელი ს. მინდაძე, გუნდის უფროსი რ. გიორგაძე), რომელმაც გაიტანა 90 ლელო და მიიღო 11. II ადგილი დაიკავა გორელთა ახალგაზრდულმა კოლექტივმა (მწვრთნელი ს. ვაშაკიძე), რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა და საიმედო პერსპექტივები გააჩნია.

ამ ჯგუფში მონაწილე თელაველები თავიანთ მინდორზე არ გამოცხადდნენ ჩოხატაურელებთან, რისთვისაც მათ დაეწერათ ხუთი თვალათ.

II ჯგუფში გამარჯვება წილად ხვდათ ქუთაისელებს (მწვრთნელი დ. კაპთელაშვილი). მომდევნო ადგილები დაიკავეს აჭარისა (მწვრთნელი დ. ნინიძე) და ლანჩხუთის გუნდებმა.

გადამწყვეტ მატჩებში ჩოხატაურელებმა დაამარცხეს ქუთაისელები და მოიპოვეს საერთო პირველობა, ხოლო III ადგილისთვის ბრძოლა გორისა და აჭარის გუნდებს შორის დამთავრდა გორელთა გამარჯვებით.

შეჯიბრებაზე გამოძახებული მსაჯებიდან მხოლოდ ერთი გამოგზავნა ჩოხატაურის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა, რის გამოც მატჩების ჩატარება მოუხდათ შეჯიბრების მთავარ მსაჯს ა. მეგრელიძეს, აჭარის გუნდის წარმომადგენელს და... მონაწილეებსაც კი. საბედნიეროდ, გაუგებრობასა და ინციდენტებს ადგილი არა ჰქონია.

ლელობურთის რესპუბლიკურმა ფედერაციამ მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს შეჯიბრებათა მიმართ. თელავში ჩატარებულ თამაშებზე არ ჩამოსულა ფედერაციის არც ერთი წარმომადგენელი

**Ს. ᲛᲘᲜᲓᲐᲫᲔ,**
**საქართველოს სსრ სპორტის ოსტატი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**



ᲞᲔᲚᲔ — ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲢᲝᲠᲘ



სურათებზე: მარცხნივ — არგენტინა — ბრაზილიის მატჩის მომენტი მსოფლიო ჩემპიონატზე. „სცენა" ერთ-ერთი მწვავე შეტაკების შემდეგ; მარჯვნივ — ბრაზილიელი ფეხბურთელი პელე არგენტინაში იმყოფება ვენესუელის ტელევიზიის სპეციალურ კომენტატორად. პელე არგენტინა — ბრაზილიის მატჩის რეპორტაჟისას.

აპ-საკდესის ტელეფოტო.

Argentina'78

## ᲓᲐᲚᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ

**ᲘᲣᲞᲘ-Ს** სააგენტოს კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან იუწყება, რომ აქ ჩამოსული არიან ჩრდილოეთ ამერიკის საფეხბურთო ლიგის სპეციალური ემისრები, რათა შეარჩიონ საუკეთესო ფეხბურთელები ამერიკული კლუბებისთვის. „დალას ტორნადოსის" კლუბის მფლობელი ბ. ჰანტი და ნიუ-იორკის „კოსმოსის" წარმომადგენელი რ. კეპი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ არგენტინელ ფეხბურთელთა მიმართ. მიმომხილველები ირწმუნებიან, რომ ბ. ჰანტი დაინტერესდა ბერტონით, ლიუკეთი და ვილათი, ხოლო რ. კეპს მოლაპარაკება სურს ტარანტინისთან.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ საფეხბურთო ტალანტების გადაბირება აშშ-ში უფრო ინტენსიურად იწარმოებს.

## ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲔᲚᲗᲐ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

**ᲠᲔᲘᲢᲔᲠᲘᲡ** სააგენტოს კორესპონდენტმა მექსიკის დედაქალაქ მეხიკოდან გადმოსცა, რომ პოლიციამ დიდი გაჭირვებით შეძლო გაეფანტა მექსიკელ გულშემატკივართა დემონსტრაცია მეხიკოს აეროპორტში. ამ ქვეყნის ნაკრების ფეხბურთელებს ესროდნენ ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ. ილანძღებოდნენ, იმუქრებოდნენ.

ფეხბურთელები საგანგებო ავტობუსით გაამგზავრეს, აეროპორტში კი დატოვეს მხოლოდ მწვრთნელი ხოსე ანტონიო როჩა, რომელიც იძულებული იყო ეპასუხა კორესპონდენტთა შეკითხვებზე.

## „ᲙᲚᲐᲠᲘᲜᲘᲡ" ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

**ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲛᲐ** არგენტინულმა გაზეთმა „კლარინმა" მსოფლიო ჩემპიონატის წინასწარ ჯგუფებში დამთავრებული მატჩების შემდეგ მოახდინა ჟურნალისტთა გამოკითხვა და შეადგინა სიმბოლური ნაკრები. მასში შევიდნენ: ჰელმსტრიომი (შვეცია), ჯენტილე (იტალია), ტრეზორი (საფრანგეთი), კროლი (ჰოლანდია), ტარანტინი (არგენტინა), კარდენოსა (ესპანეთი), გალიეგო (არგენტინა), კუბილასი (პერუ), კაუზიო (იტალია), ლიუკე (არგენტინა), კრანკლი (ავსტრია).

ყველაზე მაღალი საშუალო შეფასება მიიღო ლიუკემ (8,5 ქულა), შემდეგ — კაუზიომ (8).

## ᲯᲝᲜᲡᲢᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

შოტლანდიელი ფეხბურთელის ვილი ჯონსტონის საქმე ჯერ კიდევ არ „დახურულა". ცნობილია, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩში პერუს გუნდთან მან მიიღო დოპინგი, მხილებული იქნა და დაისაჯა კიდეც. ჯონსტონი დისკვალიფიცირებულია ყოველგვარ შეჯიბრებაში, ეროვნულ ნაკრებშიც და საკუთარ კლუბშიც, 1979 წლის 15 ივნისამდე.

მაგრამ ჯონსტონს მარტო ეს არ აკმარეს. არგენტინელმა იურისტმა, ვინმე ჟ. დეკუმ, შოტლანდიელი ფეხბურთელის წინააღმდეგ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, ვინაიდან არგენტინული კანონებით ამ ქვეყანაში არ შეიძლება ნარკოტიკების შეტანა, ჯონსტონმა კი ეს გააკეთა. ჟ. დოკუს საბუთებით ჯონსტონს დაურღვევია № 20685 კანონის 25-ე პარაგრაფი. სასამართლომ მოითხოვა ხელმეორე ექსპერტიზა უკვე იურიდიული კანონების შესაბამისად.

მაგრამ ყველაზე საინტერესოა ის, რომ დასჯილი ვ. ჯონსტონი თურმე შინ არ გამგზავრებულა და გლაზგოს გაზეთმა „დეილი რეკორდმა" იგი თავის კომენტატორად დატოვა არგენტინაში.

## ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲞᲘ

**ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲨᲘ** მყოფი ყველა 22 ფეხბურთელი არგენტინის მინდვრებზე მხოლოდ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა მ. იდალგომ გამოიყვანა. ჯერჯერობით ყველაზე ნაკლებმა ფეხბურთელმა (14) ითამაშა ჰოლანდიის, პერუს, გფრ-ის, იტალიისა და არგენტინის გუნდებში.

**ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ** იტალიელთა გამარჯვების შემდეგ მილანში სამი ახალდაბადებული ბავშვის მამებმა თავიანთ შვილებს იტალიის ნაკრების მწვრთნელის საპატივცემულოდ ბეარზოტი დაარქვეს.

**ᲠᲝᲒᲝᲠᲪ** ცნობილია, მიმდინარე ჩემპიონატზე საიუბილეო, მე-1000 გოლი ჰოლანდიელმა რ. რენსენბრინკმა გაიტანა. „მიყვარს მარტოობა. ჩემში 50 პროცენტი ტალანტია და 50 პროცენტი — სიბეჯითე. დავიწყე 16 წლის ასაკში. ნათლობა მომიხდა „ამსტერდამში". ცხრამეტი წლისამ ბედი უცხოეთის კლუბებში ვცადე. დავიწყე „ფ. ბრიუგეში" (ბელგია), ახლა კი, აგერ უკვე შვიდი წელია, ბრიუსელის „ანდერლეჰტის" ღირსებას ვიცავ" — ამბობს 31 წლის რენსენბრინკი.

## ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ

**ᲢᲣᲠᲙᲣᲨᲘ** გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ფინელმა სპორტულმა მოსიარულემ 50 კილომეტრზე გზატკეცილზე ასპარეზობაში მსოფლიო მიღწევა დაამყარა. მისი მაჩვენებელი — 3:51.38,4, ბ. კანენბერგის (გფრ) ადრინდელ რეკორდს 1.06,2-ით სჯობს.

**ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ** ქალაქ ფორმიაში 25 წლის უ. ბრუნსმა (გდრ) ქალთა შორის 1000 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 2.32,7. აქვე ს. სიმეონიმ იტალიის რეკორდი გააუმჯობესა ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში — 195 სმ. ცნობილმა სპრინტერმა პ. მენეამ (იტალია) კი წლეულს ევროპაში ყველაზე სწრაფად გაირბინა 200 მეტრი — 20,42.

**ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ** ქალაქ სიტარდის სტადიონზე დანიელმა ქალმა ლ. ოლაფსონმა 3000 მეტრზე რბენაში შესანიშნავი შედეგი — 8.53,8 აჩვენა. 20 კილომეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენმა ი. ჰერმენსმა (ჰოლანდია) მოიგო 10 კილომეტრზე ასპარეზობა — 28.03,4.

**ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ** ბერლინში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც „ოლიმპიური დღის" სახელითაა ცნობილი. ამ ტურნირში გდრ-ის 2 რეკორდი გაუმჯობესდა: ვ. ჰანიშმა შუბი 90,32 მეტრზე ტყორცნა, ხოლო 19 წლის რ. შტოიკამ ური 77,82 მეტრზე გადააგდო, რაც ამავე დროს იუნიორთა მსოფლიო რეკორდია.

ქალთა შორის 4×100 მეტრზე ესტაფეტაში მასპინძელთა კვარტეტმა შესანიშნავი შედეგი (43,13) მოიპოვა. 100 მეტრზე თარჯრბენში ოლიმპიური ჩემპიონის ი. კლიერისა (გდრ) და მსოფლიო რეკორდსმენის პოლონელ გ. რაბშტინის დუელი მასპინძლის გამარჯვებით დამთავრდა — 12,76. რეკორდსმენი 0,04 წამით ჩამორჩა. 400 მეტრზე თარჯრბენში ქალთა შორის მსოფლიო რეკორდსმენმა კ. როსლეიმ ამჯერად 56,68 წამი აჩვენა და პირველობაც მას დარჩა, სიმაღლეზე ხტომა მოიგო ქალიშვილებში ევროპის ჩემპიონმა კ. ნიცშემ — 191 სმ.

# მუჰამედ ალის პრეს-კონფერენცია



ს უ რ ა თ ზ ე: მუჰამედ ალი ჟურნალისტებს აჩვენებს წიგნს „მცირე მიწა", რომელიც მას ლ. ი. ბრეჟნევმა მიუძღვნა თავისი ავტოგრაფით. გვერდით — მ. ალის მეუღლე ვერონიკა ალი.

**19 ივნისს** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში გაიმართა გამოჩენილი ამერიკელი ზანგი მოკრივის მუჰამედ ალის შეხვედრა საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებთან.

პრეს-კონფერენცია გახსნა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა, რომელმაც დამსწრეებს მოუთხრო იმაზე, რომ მ. ალი კრემლში მიიღო სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა. საუბრის დროს ლ. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა ადამიანები კარგად იცნობენ მუჰამედ ალის სპორტულ ბიოგრაფიას, მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას, რომელიც, კერძოდ მიმართულია ზანგი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ლეონიდ ილიას ძემ იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირში ყოფნა ამერიკელი სტუმრისთვის საინტერესო და სასარგებლო იყო, მან და მასთან ჩამოსულმა პირებმა ნახეს როგორ ცხოვრობენ საბჭოთა ადამიანები, იგრძნეს, რომ ჩვენს ხალხს სურს ახლო მეგობრობაში იმყოფებოდეს ყველა სხვა ხალხთან.

შემდეგ ჟურნალისტთა წინაშე გამოვიდა მ. ალი.

— ამჟამად მე ვემზადები მატჩისთვის მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე, — თქვა მან, — ამიტომ საბჭოთა კავშირში დიდხანს ვერ დავყავი. მაგრამ რამდენიმე დღის მანძილზეც კარგად გავიგე რამდენად მეგობრული და სტუმართმოყვარული არიან საბჭოთა ადამიანები. თქვენს ქვეყანაში ჩამოსვლამდე მე განვიცდიდი რაღაც შიშის მსგავს გრძნობას. ჩვენ ხშირად გვეუბნებოდნენ: რუსები — ამერიკის მთავარი საფრთხეაო. ახლა ვიცი, რომ ეს მართალი არაა.

შემდეგ მ. ალიმ პასუხები გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებზე. მან, კერძოდ, თქვა:

— ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე მოახდინა იმ ფაქტმა, რომ ამდენი რასა და ხალხი ცხოვრობს თქვენს ქვეყანაში შეხმატკბილებულად და მეგობრულად. არასოდეს მიგრძვნია თავი ისე კარგად, დამშვიდებით, როგორც აქ. ყოველი ამერიკელი, რომელიც ჩამოვა საბჭოთა კავშირში, დარწმუნდება ამაში. მე მძაგს ომი და ახლა ვიცი, რომ რუსებსაც არ სურთ იგი. ყველაფერი, რაც აქ ვნახე, შესანიშნავია. ეს დიდი ქვეყანაა, დიდი ხალხი! ამერიკაც, აგრეთვე, დიდი ქვეყანაა! მათ უნდა იცხოვრონ მშვიდობასა და მეგობრობაში.

# ოლიმპიური სტადიონი 40 წლისაა

**ჰელსინკის** ოლიმპიურ სტადიონს 40 წელი შეუსრულდა. თუმცა „ოლიმპიური" მას მხოლოდ 1952 წლიდან, ფინეთის დედაქალაქში ოლიმპიური თამაშების ჩატარების შემდეგ ეწოდა. სტადიონის „ბიოგრაფიაში" ეს თამაშები ყველაზე დიდი სპორტული მოვლენა იყო. მაგრამ ამ სტადიონზე ტარდებოდა მსოფლიოს, ევროპის, ჩრდილოეთის ქვეყნებისა და ფინეთის ჩემპიონატები სხვადასხვა სახეობებში. სულ ამ წლების განმავლობაში სტადიონზე ჩატარდა 1656 სპორტული ღონისძიება, რომლებსაც 11842620 მაყურებელი დაესწრო. გულშემატკივრები 43 მსოფლიო, 35 ევროპის და 199 ფინეთის რეკორდების დაბადების მოწმენი გახდნენ. 94 ქვეყნის წარმომადგენლები გამოსულან სტადიონზე, რომელიც 50 000 მაყურებელს იტევს.

უდავოა, რომ აქ ყველაზე უფრო პოპულარული სპორტის სახეობაა „სპორტის დედოფალი" — მძლეოსნობა. შემთხვევითი არ არის, რომ სტადიონის შესასვლელთან დგას ლეგენდარული მორბენლის პაავო ნურმის ძეგლი.

ბოლო, ყველაზე უფრო დიდი სპორტული მოვლენა, რომელიც სტადიონზე ჩატარდა, იყო შარშან მძლეოსნობაში ევროპის თასის გათამაშების ფინალი. წლეულს 12-13 აგვისტოს აქ გაიმართება მორიგი „წლის მოვლენა" — ტრადიციული მძლეოსნური მატჩი ფინეთისა და შვეციის გუნდებს შორის. მის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბილეთები რამდენიმე თვის წინათ გაიყიდა.

საინტერესოა, რომ ჰელსინკის სტადიონმა თითქოსდა ესტაფეტა გადასცა ოლიმპიურ მოსკოვს — 1980 წლის თამაშები იმავე ვადებში გაიმართება, როგორც 1952 წელს ჰელსინკში. (საკდესი).

## „სპორტსმენის დღე"

**სოფია.** დიდი ხალისით ჩაატარეს ბულგარელმა ფიზკულტურელებმა ტრადიციული „სპორტსმენის დღე". ქვეყნის ყველა კუთხეში მასობრივ ფიზკულტურულ ღონისძიებებში მილიონამდე კაცი მონაწილეობდა. ისინი ასპარეზობდნენ მრავალრიცხოვან სპორტულ სარბიელზე, რომლებიც 1944 წლის 9 სექტემბრის შემდეგ რესპუბლიკაში 18000-ზე მეტი აშენდა. (საკდესი).

## მოძმე · სოციალისტური ქვეყნები

## აფრიანი იახტით

**ვარშავა.** პოლონელმა იახტსმენმა ანჯეი ურბანჩიკმა დაამთავრა წყნარ ოკეანეზე მარტო ცურვა. იოკოჰამიდან სან-ფრანცისკომდე მანძილი (5 ათასი საზღვაო მილი) მან თავის „ნორდე-3"-ით 49 დღეში დაფარა. 9 მეტრი სიგრძის აფრიან იახტას არც ძრავა ჰქონდა, არც რადიოგადამცემი. (საკდესი).

## ვიცე-ჩემპიონის აზრით

## მძლეოსნობა

**რომი.** პრაღაში ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებისთვის, ვფიქრობ, აუცილებელია 195 სმ სიმაღლის გადალახვა, — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა, სიმაღლეზე მხტომელმა სარა სიმეონიმ. — რაც შეეხება მოსკოვის ოლიმპიადას, ჩემის აზრით, ბრძოლა უფრო მძაფრი იქნება, ხოლო სპორტსმენთა მომზადების დონე უფრო მაღალი. თუმცა არსებული რეკორდების გადაჭარბება ძნელია, მაგრამ ვფიქრობ რომ ჩვენ 198 სმ-მდე უნდა გავაუმჯობესოთ მონრეალის შედეგი, უნდა მივუახლოვდეთ 2 მეტრს.

სარა სიმეონის უჭირს ძლიერი მეტოქეების დასახელება. მისი აზრით ასეთი მაღალი დონის შეჯიბრება ყოველთვის გამოავლენს „ახალბედებს". ბოლო დროს, — თქვა მან, — კარგ შედეგებს მიაღწიეს გფრ-ის, გდრ-ის, სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მძლეოსნებმა.

— რაც შეეხება ჩემი ვარჯიშის მეთოდებს, საეჭვოა რამე ახალი გითხრათ, ვაკეთებ იმას, რასაც სხვები. ახლა გავემგზავრები ქალაქ ფორმიაში, სადაც სპორტსკოლაში სერიოზულ ვარჯიშს დავიწყებ.

თავისუფალი დრო ძალიან ცოტა მაქვს, მაგრამ როცა ასეთი გამოჩნდება, ვკითხულობ წიგნებს, ჟურნალებს, მიყვარს ყველა ჟანრის მუსიკა.

უპირატესობას ვანიჭებ ფოსბიურის სტილით ხტომას, ვინაიდან ჩემის აზრით იგი უფრო პერსპექტიულია. გადავლებით ხტომა თითქმის ყოველ ვარიანტშია დამუშავებული და მან შესაძლებელია ამოწურა კიდეც თავისი შესაძლებლობა.

ვსარგებლობ შემთხვევით და ყველა საბჭოთა სპორტსმენს ვუთვლი მხურვალე სალამს. (საკდესი).

## სპორტულ გაზეთზე

**ფეხბურთი.** სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" შეჯიბრების ფინალური მატჩი ა. ჟორდანიას სახელობის თასზე. ასკ-ს სტადიონი. 21 ივნისი. „ზახმარო" (ჩოხატაური) — „იმერეთი" (წულუკიძე). დასაწყისი 12 ს.

რედაქტორის მაგიერ
ა. გოგოლაშვილი.

# „მინდა კარგი ცვლა მოვიმზადო"

**პარიზი.** სამოყვარულო ველოსპორტის ისტორიაში ყველაზე გამოჩენილი ფრანგი ტრეკზე მრბოლელი დანიელ მორელონი (სამგზის ოლიმპიური და მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონი) თავის მდიდარ გამოცდილებას ახალგაზრდებს გადასცემს. ამჟამად იგი საფრანგეთის იუნიორთა ნაკრებსავარჯიშებს.

გაზეთ „ეკიპის" კორესპონდენტის შეკითხვას, თუ რატომ airჩია მან ეს სამუშაო, მორელონმა უპასუხა:

— მინდა კარგი ცვლა მოვიმზადო. თუმცა ვიცი ამის გაკეთება ადვილი არ იქნება — დღეს მსოფლიო „ელიტაში" მოსახვედრად ხანგრძლივი დროა საჭირო.

— თქვენი გამოსვლების პერიოდში ათობით მაღალი კლასის სპრინტერს შეხვედრიხართ. რომელს აფასებთ ყველაზე მეტად?

— საბჭოთა მრბოლელებს ფხაკაძეს და კრავცოვს, გეშკეს (გდრ), ავსტრალიელ ნიკოლსონს, დანიელ პედერსენს, იტალიელ როსის, ბელგიელ ვაარტენს. ყველა ესენი თავიანთი ოსტატობით ანცვიფრებდნენ სპეციალისტებს.

არასდროს დამავიწყდება ჩეხოსლოვაკიელი მრბოლელები ტკაჩი და კუჩერეკი. პირველმა ოლიმპიურ მონრეალში, ხოლო მეორემ სანკრისტობალის (ვენესუელა) მსოფლიო ჩემპიონატზე მომიგო, მაგრამ მაინც არ შემიძლია დავემდურო ამ ბრწყინვალე ოსტატებს, რომელთაც ნამსახურობის ნუსხა გამოფუჭეს...

ჟურნალისტები დაინტერესდნენ აგრეთვე, თუ როგორ დამოკიდებულებაშია მორელონი თავის აღსაზრდელებთან ვარჯიშის დროს.

„მე ძალიან მსიამოვნებს და მიხარია მათთან მუშაობა. გამოცდილებით ვიცი, რომ 14-16 წლის მრბოლელებს განსაკუთრებული მზრუნველობით უნდა მოეპყრა. სწორედ ამ ასაკში უნდა მომზადდეს მაღალი კლასის ოსტატი, ამ ასაკისას უნდა ასწავლო რბოლის ოპტიმალური ტექნიკა, გაუსწორო ყველა შეცდომა, — ამბობს მორელონი. — ჩაბუკებს მე არა მარტო ტრეკზე სპრინტის ხელოვნებას ვასწავლი, არამედ თავის ძალებში დარწმუნებას, ურომლისოდაც ჩემპიონობას ვერ მიაღწევ და რა თქმა უნდა, სპორტისადმი სიყვარულს, რომლის გარეშეც ვერ გახდები ნამდვილი სპორტსმენი".

ვარჯიშის დროს დანიელ მორელონი უკვე არ ჯდება ველოსიპედზე. იგი დგას ტრეკთან ახლოს, ჩვეულებრივ. სტარტის ადგილთან და თვალყურს ადევნებს თავისი აღსაზრდელების ვარჯიშს. (საკდესი).

## ოთხი მატჩი დევისის თასზე

**დევისის** თასის გათამაშების ევროპის ზონის მეოთხედფინალურ მატჩში ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ჩოგბურთელთა გუნდების ლიდერთა იან კოდეშისა და ვოიცეხ ფიბაკის შეხვედრაში გამარჯვება პოლონელმა ოსტატმა მოიპოვა — 8:6, რ:4, 6:2. მაგრამ გუნდური გამარჯვება კორტის მასპინძლებს ჩეხოსლოვაკიელ ჩოგბურთელებს ხვდათ — 3:2.

## ჩოგბურთი

ასეთივე ანგარიშით უნგრეთის ნაკრებმა ბუდაპეშტში დაამარცხა გფრ-ის ჩოგბურთელები, შვედებმა კი ბიორნ ბორგის მეთაურობით — იუგოსლავიის სპორტსმენები. ინგლისელებმა ბრისტოლში მოუგეს ავსტრიის გუნდს — 5:0.

# ყურადღება!

**1978 წლის 28 ივნისს გაიმართება „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის 26-ე ტირაჟი.**

ამ ტირაჟში მოგებათა ფონდი გაზრდილია 250 ათასი მანეთით. დამატებითი ფონდი შეგროვდა იმ რეალიზებული ბარათების ხარჯზე, რომლებიც არ მონაწილეობდნენ გათამაშების ტირაჟებში მოყვარულთა მიერ ბარათების შევსებისას დაშვებული შეცდომების გამო, ან თავის დროზე ვერ მოხვდნენ „სპორტლოტოს" რესპუბლიკურ სამმართველოში.

**ყურადღებით შეავსეთ ბარათები, ნუ დაკარგავთ მოგების შესაძლებლობას!**

შეგახსენებთ, რომ „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ში ექვსისა და 5+1 სპორტული სახეობის ამოცნობის შემთხვევაში, მაქსიმალური ფულადი მოგების გარდა ჯილდოვდებიან „ჟიგულის" მარკის ავტომანქანის ურიგოდ გამოყენების ტალონით.

მიიღეთ მონაწილეობა სპორტული ლატარიის ტირაჟებში!

**საქსპორტლოტო.**

## საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი აცხადებს მიღებას 1978-79 სასწავლო წლისათვის

ტექნიკუმი ამზადებს ფიზიკური კულტურის მასწავლებლებს, რომლებსაც ნება აქვთ იმუშაონ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, ფიზიკური კულტურის კოლექტივებში, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში და სხვ.

**განცხადების მიღება წარმოებს 1 ივლისიდან 15 აგვისტომდე ქართულ და რუსულ სექტორებზე.**

ტექნიკუმში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება, მშდ-ს კომპლექსის ჩაბარების მოწმობა და თანრიგის წიგნაკი სპორტის არჩეულ სახეობაში — ჭიდაობაში, სპორტულ თამაშებში, ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში და ცურვაში.

**მიღების დროს შეღავათებით სარგებლობენ:** ა) საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულნი, რომლებმაც იმსახურეს არანაკლებ 2 წლისა; ბ) არჩეულ სპეციალობით ორ წელზე მეტი სამუშაო სტაჟის მქონენი; გ) ის პირები, რომლებიც სასწავლებლად გამოგზავნილი იქნებიან სამრეწველო საწარმოებიდან, მშენებლობებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან და კოლმეურნეობებიდან; დ) ის პირები, რომლებსაც საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ოქროს, ვერცხლის მედლებზე ან დამთავრებული აქვთ საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი ფრიადზე.

**მისაღები გამოცდები ეწყობა 15-21 აგვისტოს შემდეგ საგნებში:** სპეციალიზაცია (სპორტის არჩეული სახეობა); საერთო ფიზიკური მომზადება (ცურვა, მძლეოსნობა და ტანვარჯიში), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი).

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა:** მაღალმთიან რაიონებში მცხოვრებთათვის ცურვა იცვლება მარშგარბენით.

სწავლის ვადა 2 წელიწადია.

განცხადებას უნდა დაერთოს: საბუთი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 6 ფოტოსურათი (3×4 სმ), საკლასიფიკაციო ბილეთი სპორტის არჩეულ სახეობაში, მოწმობა მშდ კომპლექსის ჩაბარების შესახებ. დაბადების მოწმობა, პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა უნდა წარმოადგინონ პირადად.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილებულნი იქნებიან საერთო საცხოვრებლით. ტელეფონი 95-30-06.

**ტექნიკუმის დირექცია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 93-56-14, 93-07-60; რედაქტორის მოადგილე — 93 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-07-62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-07-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-07-55; სპორტის პროპაგანდის — 93 07-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-07-58; ქადრაკის — 93-07-26; სამხატვრო — 93-07-52; წერილების — 93-07-54; კორექტორები — 93-07-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93 07-53; მემანქანეები — 93-07-51.

ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უც 02130